

მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა სს ლიბერთი ბანკი

სს ლიბერთი ბანკი (შემდგომში „ბანკი“ ან „ლიბერთი ბანკი“) საკუთარ ბიზნეს საქმიანობას წარმართავს ეთიკის პრინციპების დაცვით. „ბანკი“ აცნობიერებს, რომ კორუფცია ზრდის ბიზნესში გაურკვეველობასა და საოპერაციო ხარჯებს, ასევე ზღუდავს საერთაშორისო კომერციას და ამცირებს ინვესტიციებს და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდასაც როგორც რეგიონში, ისე გლობალურად, ძირს უთხრის დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დარღვევას, აკნინებს კომერციულ ბაზარს, ამცირებს ცხოვრების დონეს და ახდენს ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და საზოგადოების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის საფრთხის შემცველი მოვლენების წახალისებას. „ბანკის“ პოლიტიკა ეწინააღმდეგება ქრთამის შეთავაზებას, გადახდას, მოთხოვნას, წახალისებას ან/და აღებას, ასევე ქრთამის შეთავაზების ან გადახდის ნებისმიერი ფორმით სტიმულირებას ან/და მხარდაჭერას.

„ლიბერთი ბანკი“ მოწოდებულია საკუთარი ბიზნეს საქმიანობა წარმართოს ეთიკის უმაღლესი სტანდარტების, ისევე როგორც მოქმედი შიდა და საერთაშორისო მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული რეგულაციების მოთხოვნებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. „ბანკის“ მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობასა და რეგულაციებს, ისევე როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ვოლფსბერგის ჯგუფის (Wolfsberg Group) მიერ დამტკიცებული ანტიკორუფციული სახელმძღვანელოთი, გაეროს ანტიკორუფციული კონვენციით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ დამტკიცებული ანტიკორუფციული კონვენციით, ამერიკის შეერთებული შტატების უცხოეთის კორუფციული პრაქტიკის შესახებ აქტივა და საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით.

მექრთამეობამ შესაძლოა გამოიწვიოს სისხლის სამართლებრივი ან საზედამხედველო გამოძიების ჩატარება, რაც შესაძლოა დასრულდეს ბრალის წაყენებით, დაჯარიმებით და „ბანკის“ მიმართ სხვა ხარჯების გამოწვევით. მექრთამეობამ „ბანკი“ ასევე შეიძლება დააყენოს კონკურენტებისა და მესამე პირების მხრიდან სამართლებრივი დავის დაწყების წინაშე. კორუფციულ ქმედებებში ჩართული პირების მიმართ სავარაუდოდ, ასევე დადგება პირადი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

1. განმარტებები:

- მექრთამეობა წარმოადგენს ისეთ ქმედებას, რომელიც შეიცავს ფინანსური ან სხვა სახის შეღავათების დაპირებას, შეთავაზებას, მიღებას ან მინიჭებას, მათ შორის მომსახურების გაწევას, ან რაიმე ღირებულის გადაცემას, როგორც პირდაპირ, ისე ირიბად, იმ მიზნით, რომ წახალისოს ან დააფასოს მოვალეობის ან ქმედების არასათანადო შესრულება. აღნიშნული შესაძლოა გამოიხატებოდეს კომერციულ გარიგებებში (კომერციული მექრთამეობა), შეიცავდეს სახელმწიფო თანამდებობის ბოროტად გამოყენების ნიშნებს პირადი გამორჩენის მიზნით, რათა მიიღოს, შეინარჩუნოს ან წარმართოს ბიზნესი ან დაიბევოს ნებისმიერი სხვა სახის უკანონო შეღავათი ბიზნეს საქმიანობისას. ქრთამი შესაძლოა შეიცავდეს ფინანსურ ანაზღაურებას, როგორც ნაღდი ფულის, ისე მისი ექვივალენტის სახით (როგორცაა ფინანსური ინსტრუმენტი), არაფულად საჩუქარს, მომსახურებას, სესხს, მოგზაურობას, საკვებს, ძვირფასეულობას, ნებისმიერი სახის ქონებას, ან ინტერესს საკუთრებაში, ჯარიმებისგან დაცვას, ვალდებულების

შესრულებისგან გათავისუფლებას. ქრთამი ასევე გულისხმობს ღირებულების მქონე ნებისმიერი აქტივის მიწოდებას არაადეკვატურ ან შეუსაბამო ფასად. შედეგათის მინიჭება განიხილება ქრთამად იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ქრთამის მიმღების ან მესამე პირის მიერ არასათანადო ქმედების ჩადენის გამოწვევის, ან სახელმწიფო თანამდებობის პირის (არასათანადოდ ან სხვაგვარად) მიერ მისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელების განზრახვა.

- **კორუფცია** აღნიშნავს მდგომარეობას ან სიტუაციას, რომელიც წარმოიშვა ქრთამის მიცემის, შეთავაზების, წახალისების ან სხვაგვარად ხელის შეწყობის შედეგად.
- **სახელმწიფო თანამდებობის პირი** გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელსაც დაკავებული აქვს სახელმწიფო საკანონმდებლო, აღმასრულებელი, ადმინისტრაციული ან სასამართლო ხელისუფლების შემადგენელი თანამდებობა, როგორც დანიშვნითი, ისე არჩევითი, მუდმივი, ან დროებითი, ანაზღაურებადი ან ანაზღაურების გარეშე, მიუხედავად აღნიშნული პირის თანამდებობრივი რანგირებისა; ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც ასრულებს საჯარო უფლებამოსილებას, მათ შორის სახელმწიფო ორგანო ან საწარმო, ასევე რომელიც ეწევა სახელმწიფო მომსახურებას; ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოიაზრება „სახელმწიფო თანამდებობის პირის“ განმარტებაში; უცხო სახელმწიფოს თანამდებობის პირი - ნებისმიერი პირი, რომელსაც უჭირავს თანამდებობა უცხო სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ, ადმინისტრაციულ ან სასამართლო ერთეულში, როგორც დანიშვნითი, ისე არჩევითი, ასევე ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს უცხო ქვეყნის სახელმწიფო უფლებამოსილებას, მათ შორის სახელმწიფო ორგანო ან საწარმო; ტერმინი ასევე მოიცავს საერთაშორისო ორგანიზაციის თანამდებობის პირსა და წარმომადგენელს.

2. „ლიბერთი ბანკის“ ღირებულებები მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის ქრილში

„ბანკის“ ღირებულებები მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის ქრილში მოიცავს ქვემოთჩამოთვლილს:

- **ფინანსური პასუხისმგებლობა** - გამჭვირვალე, გონივრული და საიმედო ქმედება;
- **ნდობა საკუთარი გუნდისადმი** - წარმატებული გუნდები ეფუძნება ორმხრივ ნდობას, თანაზიარ საკუთრებასა და ანგარიშვალდებულებას;
- **პერსონალზე უფლებამოსილების დელეგირება** - თანამშრომლების მიერ საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენების ხელშეწყობა, მეტი პასუხისმგებლობის აღების წახალისება, მათ მიერ შესაბამისი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო უნარებისა და რესურსის მობილიზება;
- **გაშლილი მკლავის პრინციპის პოპულარიზაცია** - ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ტრანზაქციის მხარეები არიან დამოუკიდებელნი და იმყოფებიან თანაბარ პირობებში;
- **აქციონერების ნდობის მოპოვება და შენარჩუნება** - რესურსების სათანადოდ გადანაწილებისა და სწორი ინვესტიციების განხორციელების გზით ნდობის დამკვიდრება და თვითრწმენის ამაღლება, რისკზე დაფუძნებული გონივრული ქმედება, მენეჯერული და ტექნიკური უფლებამოსილებების ეფექტური გადანაწილება.

3. აკრძალული ქმედებები

3.1. „ლიბერთი ბანკი“ საკუთარ საქმიანობას წარმართავს ერთიანობის პრინციპის საფუძველზე, რაც მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს. აღნიშნული ღირებულებების გათვალისწინებით, „ბანკი“ არის სრულად შეუწყნარებელი მექრთამეობისა და

კორუფციის მიმართ. „ლიბერთი ბანკის“ მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკა კრძალავს ღირებულების მქონე ნებისმიერი სიკეთის გადაცემას ან შეთავაზებას ნებისმიერი პირისთვის, ისევე როგორც ნებისმიერი პირისგან მის მიღებას ან წახალისებას კორუფციული მოტივით, როგორცაა მაგალითად დაუმსახურებელი ანაზღაურების ან შეღავათის მინიჭება სახელმწიფო მოხელისთვის ან უკანონო ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად კერძო პირისთვის. აკრძალავს ასევე მოიცავს ზემოაღნიშნული ქმედებების წახალისების მიზნით განხორციელებულ გადახდებს. „ლიბერთი ბანკი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რომ საფინანსო საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები უნდა იყოს სწორი, ზუსტი და დეტალურად დასაბუთებული;

3.2. წინამდებარე პოლიტიკა კრძალავს როგორც ქრთამის შეთავაზებასა და გადახდას, ისე მის დაპირებას (როგორც პირდაპირ, ისე ირიბად) („აქტიური მექრთამეობა“), ასევე ქრთამის მოთხოვნის, აღების, ან აღების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერას, წახალისებას ან პროვოცირებას ნებისმიერი ფორმით („პასიური მექრთამეობა“);

3.3. „ბანკის“ თანამშრომლები და დაკავშირებული პირები ვალდებული არიან:

- i. არ აღმოჩნდნენ მექრთამეობის თანამონაწილენი რაიმე სახით, როგორც აქტიურის, ისე პასიურის, ასევე ნებისმიერი კორუფციული გარიგების თანამონაწილენი რაიმე ფორმით, როგორც პირდაპირ ისე ირიბად. ღირებულების მქონე სიკეთის გადაცემა უკანონო ბიზნეს შეღავათის მიღების მიზნით ვრცელდება სახელმწიფო მოხელეებზე, მომხმარებლებზე, მიმწოდებლებზე, აქციონერებზე და „ბანკის“ შესაძლო და პოტენციურ კონტრაქტორებზე;
- ii. არ განახორციელონ ისეთი გადახდა ან ანაზღაურება, რომელიც იქნება ზემოაღნიშნული ქმედებების ჩადენის ხელის შემწყობი. ამდაგვარ გადახდებში იგულისხმება გადახდები, როგორც დიდი, ასევე მცირე მოცულობის, რომელიც გამიზნულია სახელმწიფო მოხელეებზე გადასაცემად იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს, ან ზოგადად შესრულდეს რაიმე კონკრეტული საჯარო ქმედება. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამგვარ გადახდებში არ იგულისხმება სახელმწიფო ორგანოს სასარგებლოდ გადახდილი, შესაბამისი კანონმდებლობით ან რეგულაციებით დადგენილი და დოკუმენტირებული გადასახადი;
- iii. განახორციელონ სათანადო შემოწმება და ეფექტური მონიტორინგი იმ მესამე პირებთან მიმართებაში, რომლებიც რაიმე ფორმით, პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული არიან „ბანკის“ ბიზნეს საქმიანობასთან, ასევე უზრუნველყონ „ბანკის“ მიერ დაკავშირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციების სათანადო ზედამხედველობა და ადეკვატური კონტროლი, აღნიშნული ტრანზაქციების განხორციელებისას გაშლილი მკლავის პრინციპის დაცვის მიზნით, რათა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტის საკითხები;
- iv. აწარმოონ ნებისმიერი სახის შემოწმების შესახებ შესაბამისი წიგნები და ჩანაწერები. უზრუნველყონ რომ შესაბამისი ლიმიტები გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, სათანადოდ ხორციელდება მონიტორინგი და რეპორტირება;
- v. ღირებულების მქონე სიკეთის მესამე პირებისთვის/მესამე პირებისგან მიღებამდე/შეთავაზებამდე/გადაცემამდე გაეცნონ შესაბამისობის სამსახურის შესაბამის დასკვნას და გაიარონ შესაბამისი კონტროლი (საჩუქრებთან და ბიზნეს კეთილგანწყობასთან დაკავშირებით დადგენილი ზოგადი ზღვრების გათვალისწინებით);

- vi. ხელი შეუწყონ კორუფციის საწინააღმდეგო რეკრუტინგის სისტემას სამართლიანი და დამსახურებაზე დაფუძნებული დასაქმების პროცესისა და „ბანკის“ მთლიანი კადრებისთვის მოქმედი მკაცრი დასაქმების სტანდარტების დანერგვით;
 - vii. ეფექტურად გამოიყენონ მიმდინარე ანტიკორუფციული მონიტორინგი და კონფიდენციალური მხილების პროცედურები, შეაფასონ და მოახდინონ მოსალოდნელი მექრთამეობის რისკის მიტიგაცია, დანერგონ დამოუკიდებელი შემოწმების პროცესები;
- 3.4. თანამშრომლებზე, რომლებიც წახალისებენ მექრთამეობას, ან არ დაიცავენ შესაბამისი მექრთამეობის პრევენციისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის მოთხოვნებს, გავრცელდება დისციპლინური ზომები, მათ შორის სამსახურიდან გათავისუფლება, ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებისა და მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინებით.
- 3.5. საკუთარი საქმიანობის, პროდუქტებისა და მომსახურებისადმი რისკზე დაფუძნებული მიდგომა ხელს უწყობს ანტიკორუფციული და მექრთამეობის საწინააღმდეგო ეფექტური პროცედურებისა და ზომების ჩამოყალიბებას. „ბანკის“ უმაღლესი მენეჯმენტი მოწოდებული დაამკვიდროს კულტურა, რომლის ფარგლებშიც მკაცრად აკრძალული და მიუღებელია მექრთამეობა და კორუფცია და თითოეული თანამშრომელი მოქმედებს ერთიანობის სტანდარტებით;
- 3.6. „ბანკი“ წარმოადგენს არაპოლიტიკურ ორგანიზაციას და პოლიტიკური პარტიებისა და ინდივიდებისადმი შეწირულობები (ფინანსური ან მსგავსი ტიპის), ასევე შესაბამისი კამპანიები არ არის ნებადართული. თანამშრომლებს არ აქვთ უფლება, „ბანკის“ სახელით განახორციელონ პოლიტიკური შეწირულობები. ნებისმიერი გამონაკლისი ზემოაღნიშნული წესიდან ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილვას.

4. წინამდებარე პოლიტიკის კომუნიკაცია

- 4.1. „ბანკის“ შესაბამისმა თანამშრომლებმა უნდა გაიარონ მექრთამეობისა და კორუფციის პრევენციის ტრენინგი. აღნიშნული ტრენინგი უნდა ჩაუტარდეს „ბანკის“ ყველა შესაბამის როგორც უკვე მოქმედ, ისე ახლად დასაქმებულ თანამშრომელს;
- 4.2. წინამდებარე პოლიტიკა ხელმისაწვდომია „ბანკის“ ყველა თანამშრომლისთვის და განთავსებულია „ბანკის“ ვებგვერდზე;
- 4.3. წინამდებარე პოლიტიკა შესაძლებელია გაეცნოს ჩვენს მომხმარებლებს, მიმწოდებლებს, ქვეკონტრაქტორებს, აგენტებსა და შუამავლებს;
- 4.4. თუ ნებისმიერი პირი შეიტყობს ან გაუჩნდება ეჭვი თანამშრომლის ან „ბანკთან“ დაკავშირებული პირის, ან ისეთი მესამე პირის მიერ წინამდებარე პოლიტიკის შესაძლო დარღვევის შესახებ, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „ბანკის“ სახელით, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისობის სამსახურს;
- 4.5. თანამშრომელი ვალდებულია არ გაანადგუროს ნებისმიერი ნივთმტკიცება, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელობა წინამდებარე პოლიტიკის დარღვევის გარემოებების დასადგენად, ასევე, არ გაუმხილოს ნებისმიერ მესამე პირს ისეთი ინფორმაცია, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს აღნიშნული გარემოებების მოკვლევაზე;
- 4.6. ნებისმიერი ზემოაღნიშნული შეტყობინება „ბანკის“ მიერ განხილვება როგორც კონფიდენციალური და გარემოებების მოკვლევის მიზნით მიღებულ იქნება შესაბამისი ზომები სწრაფ და უწყვეტ რეჟიმში;
- 4.7. აუცილებლობის შემთხვევაში „ბანკი“ შესაძლოა დაუკავშირდეს გარეშე პირებს, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებს და წარუდგინოს მათ შესაბამისი ანგარიში;

4.8. წინამდებარე პოლიტიკის დარღვევის შესახებ შეტყობინების წესი რეგულირდება „ბანკის“ ანონიმური მხილების პოლიტიკით.

5. მექრთამეობის პრევენციასა და ანტიკორუფციულ პოლიტიკასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე პოლიტიკის შესრულებაზე პასუხისმგებელია „ბანკის“ შესაბამისობის სამსახური;

5.2. წინამდებარე პოლიტიკის დანერგვაზე პასუხისმგებელმა შესაბამისმა პირებმა „ბანკის“ მენეჯმენტს კვარტალურად უნდა მიაწოდონ პოლიტიკის დანერგვისა და მისი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია;

5.3. კვარტალური ანგარიშგების წარდგენის მიზნით, შესაბამისობის სამსახური უფლებამოსილია მიმართოს შიდა აუდიტის სამსახურს „ბანკის“ მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესაბამისობის აუდიტების მოთხოვნით და თავადაც მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში. შესაბამისობის სამსახური ასევე უფლებამოსილია, წინამდებარე პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ფაქტებთან დაკავშირებით ჩაატაროს დამატებითი შიდა გამოკვლევა;

5.4. წინამდებარე პოლიტიკა ექვემდებარება პერიოდულ განხილვას და ცვლილებებს „ბანკის“ წინაშე არსებული რისკების, საკანონმდებლო, რეგულატორული და საერთაშორისო სტანდარტების ცვლილებების სათანადოდ ასახვის მიზნით. წინამდებარე პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, განახლებული პოლიტიკა წარდგენილ იქნება სამეთვალყურეო საბჭოზე დასამტკიცებლად.